პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 224 (10000) | სამშაბათი, 21 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიც.

ვ. ი. ლენინი.

პრესა უნდა იზრდებოდეს არა დღეობით, არამედ საუკუნეებით, ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია.

ი. ბ. სტალინი.

ამხანაგ მარსელ კაშენს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით, ძვირფასო ამხანაგო კაშენ, თქვენი დაბადების 85 წლისთავის დღეს.

თქვენ, საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მრავალი წლის მანძილზე თავდადებით ემსახურებით ფრანგი ხალხის ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მაღალ იდეალებს.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ პატრიოტულ ბრძოლაში მუშათა კლასისა და მთელი ფრანგი ხალხის საქმისათვის, თქვენი სამშობლოს ეროვნული ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება და ულოცავს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს, მუშსოფლკორებსა და ავტორთა აქტივს გაზეთის მეათიათასე ნომრის გამოსვლას.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი „კომუნისტი“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოვლისმძლე იდეების აქტიური გამტარებელი იყო, დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის წარმატებებისათვის, ზრდიდა მშრომელებს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ გაზეთი „კომუნისტი“ კვლავაც იქნება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანაშემწე საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მთელი ჩვენი მძლავრი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალების დარაზმვის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

„კომუნისტის“ მე-10000 ნომერი

დღეს გამოვიდა საქართველოს კომუნისტების მებრძოლი ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომერი. ეს დიდი და სასიხარულო მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ეს პრესის მუშაკებისა და მუშსოფლკორების ზეიმია, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის ზეიმია.

თავისი არსებობის 34 წლის მანძილზე გაზეთი „კომუნისტი“ მტკიცედ იბრძოდა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წლის 3 ივნისს, როცა საქართველოში მძვინვარებდა ქართველი ხალხის უსბოროტესი მტრების მენშევიკების სისხლიანი რეჟიმი. მაშინ, მენშევიკების მხრივ დაუნდობელი დევნის პირობებში, გაზეთი მგზნებარედ მოუწოდებდა და რაზმავდა მუშებსა და გლეხებს მენშევიკების ხატონობის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მისი მეათიათასე ნომერი კი გაზოდის იმ დღეებში, როცა გამარჯვებული ქართველი ხალხი, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს მოძმე ხალხებთან ერთად და მათი დახმარებით, ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებთან ერთად გაზეთმა „კომუნისტმა“ ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლო. ხოლშევიკური პრესის, ლენინური „ისკრის“, სტალინური „ბრძოლის“, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი ორგანოს „პრავდის“ შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდილი, იგი დაუცხრომლად ემსახურებოდა მშრომელთა ინტერესებს, სოციალიზმის გამარჯვების საქმეს. გაზეთი „კომუნისტის“ გზა კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებული ბრძოლის გზაა.

გაზეთი „კომუნისტი“ პარტიის მებრძოლი თანაშემწე იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და კულტურის განვითარებისათვის, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. „კომუნისტმა“ დიდი როლი შეასრულა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას, დაუცხრომლად განუმარტავდა რესპუბლიკის მშრომელებს დიდი რუსი ხალხის მსოფლიო-ისტორიულ როლს, რუსი ხალხისა, რომელმაც იხსნა ქართველი ხალხი და იგი სხვა მოძმე ხალხებთან ერთად გამოიყვანა კომუნიზმის ნათელ გზაზე.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღორძინების დიად სამუშაოთა ხუთწლედებში გაზეთი „კომუნისტი“ ეხმარებოდა მუშებსა და გლეხებს მრეწველობის განვითარებაში, სოფლად კოლექტიური — სოციალისტური შრომის დამკვიდრებაში.

„კომუნისტი“ აქტიურად ეხმარებოდა და ეხმარება პარტიას მასების კომუნისტურად აღზრდის უდიდეს საქმეში. გაზეთი ზრდიდა და ზრდის მშრომელებს სოციალისტური სამშობლოსადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, სამშობლოს მტრებისადმი დაუცხრომელი სიძულვილის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში გაზეთი „კომუნისტი“ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. თავისი მართალი მგზნებარე სიტყვით იგი აღაფრთოვანებდა ზურგისა და ფრონტის მებრძოლებს, რათა ყველაფერი გაეკეთებინათ მტერზე გამარჯვებისათვის, სამშობლოს თავისუფლების, სახელისა და დიდების შენარჩუნებისათვის. გაზეთი ამუქებდა ჩვენი მებრძოლების საგმირო საქმეებს, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შრომითს მამაცობას, საბჭოთა პატრიოტების თავდადებას, რამაც უზრუნველყო მტრებზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ომისშემდგომ წლებში „კომუნისტმა“, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა პრესამ, დიდი მუშაობა გაიწია პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულებათა განსახორციელებლად. გაზეთი სისტემატურად აშუქებს ჩვენი მშრომელების შემოქმედებითს შრომას სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. იგი იბრძვის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, დაუცხრომლად ზრდის მასებს კომუნისტური სულისკვეთებით.

მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებანი, რომლებშიც მოცემულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის გაშლილი პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ისევე როგორც ყოველთვის, პრესა პარტიის ერთგული და მებრძოლი თანაშემწეა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება მოითხოვს მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ისევე როგორც მთელი საბჭოთა პრესა, გაზეთი „კომუნისტი“ მოწოდებულია დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს ღრმად განუმარტონ მასებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე, საქმის ცოდნით, შინაარსიანად, ცოცხლად და მიმზიდველად გააშუქოს საერთო-სახალხო ბრძოლა ამ უდიდესი ამოცანის გადაწყვეტისათვის, პროპაგანდა გაუწიოს მოწინავე გამოცდილებას, იბრძოლოს ნოვატორთა გამოცდილების მასობრივად დანერგვისათვის.

მიუხედავად ამ დარგში გაწეული ერთგვარი მუშაობისა, „კომუნისტს“ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქებაში.

„კომუნისტის“ კოლექტივს ესმის, რომ რაც გაზეთმა გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა შესრულებისათვის, ეს მხოლოდ დასაწყისია. ამიტომ გაზეთი იბრძვის იმისათვის, რომ უფრო ღრმად და შინაარსიანად გააშუქოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა, შეისწავლოს კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ყოველდღიური პრაქტიკა, უნარიანად განაზოგადოს და გაავრცელოს მოწინავე გამოცდილება. გაზეთი ნამდვილად უნდა გახდეს მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა, დაეხმაროს ჩვენს კოლმეურნეებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს გაბედულად და სწრაფად დანერგონ საასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული მდიდარი გამოცდილება.

გაზეთის ამოცანაა უფრო ფართოდ გააშუქოს მრეწველობის საკითხები, დაეხმაროს პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანოებს შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების, წარმოების შიდარეზერვების გამოყენების, ნოვატორთა გამოცდილების დანერგვის საქმეში დასახული ამოცანების განხორციელებაში.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ პრესაში გაკრიტიკება ყველაზე მძლავრი საშუალებაა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ჩვენი გაზეთის ამოცანაა არ შეურიგდეს ნაკლოვანებებს, გაბედულად, საქმის ცოდნით და კონკრეტულად ამხილოს და გააკრიტიკოს არსებული ნაკლოვანებანი, ხელი შეუწყოს მასების დარაზმვას ამ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის.

პრესა პარტიის უძლიერესი იდეური იარაღია. პრესის საშუალებით პარტია ელაპარაკება მილიონობით მასებს სამრძოლო ამოცანებზე, რაზმავს, აღაფრთოვანებს მათ კომუნიზმის დიად მშენებლობაში. ჩვენი გაზეთის ვალია დაეხმაროს პარტიას მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, მთელი პარტიული, პროპაგანდისტული და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში. გაზეთი დაუცხრომლად უნდა ზრდიდეს მასებს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა ხალხებს შორის ლენინურ-სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების სულისკვეთებით.

ჩვენი გაზეთის კოლექტივი, მკითხველთა მასებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებით, გაუმჯობესებს მთელ თავის მუშაობას, ბოლომდე აღმოფხვრის არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საბჭოთა პრესის მუშაკები კომუნისტური პარტიის მიერ დაყენებული არიან მეტად პასუხსაგებ პოსტზე, მათ ხელშია პარტიის ყველაზე შორმსროლელი იდეური იარაღი. პარტიამ პრესის მუშაკები აღჭურვა დიდი ნდობით. გაზეთის მუშაკთა წმიდა ვალია დაჟღალავად აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე და საქმიანი კვალიფიკაცია.

„კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი, ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს გაზეთის იდეურ-პოლიტიკური დონე, გაუმჯობესოს მისი მუშაობა, გადააქციოს იგი მასების ნამდვილ კოლექტიურ პროპაგანდისტად, აგიტატორად და ორგანიზატორად.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის შემდეგი მუშაკები:

რედაქციისა:

1. **ასტვაცატუროვი** ლევან ქრისტეფორეს-ძე — პრესის მიმოხილვის განყოფილების გამგე.
2. **გამყრელიძე** შალვა გრამიტონის-ძე — სტილისტი.
3. **გურგენიძე** ვარლამ იორდანეს-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.
4. **ვარდოსანიძე** კონსტანტინე დიონისეს-ძე — კონტროლიორი-კორექტორი.
5. **თომაძე** აბიბო ისიდორეს-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.
6. **კაჭახიძე** კონსტანტინე იოსების-ძე — ლიტერატურული მუშაკი.
7. **კოკილაშვილი** არჩილ ლაზარეს-ძე — რედაქტორის მოადგილე.
8. **კროლიოკოვსკი** ევგენი იოსების-ძე — შიკრიკი.
9. **ლომთაძე** დიმიტრი ამირანის-ძე — მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე.
10. **მშველიძე** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — სტილისტი.
11. **მშველიძე** ნინო ივანეს ასული — აღგილმბრივი ინფორმაციის განყოფილების გამგე.
12. **მეფისაშვილი** გივი იოსების-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.
13. **მხეიძე** ქეთევან ალექსანდრეს ასული — კორექტორი.
14. **პაიჭაძე** დავით ივანეს-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.
15. **სიხარულიძე** კარლო ილიას-ძე — კორესპონდენტთა ქსელის განყოფილების გამგე.
16. **უბილავა** ელიზბარ მიხეილის-ძე — ლიტერატურული მუშაკი.
17. **ქურციკიძე** რუბენ ექვთიმეს-ძე — რედაქტორის მოადგილე.
18. **ქოჩლაძე** სიმონ არტემის-ძე — საკუთარი კორესპონდენტი.
19. **ყიფიანი** თენგიზ დავითის-ძე — პასუხისმგებელი მდივნის თანაშემწე.
20. **შავგულიძე** ვლადიმერ ივანეს-ძე — პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე.
21. **ჩავლეიშვილი** აკაკი გიორგის-ძე — პასუხისმგებელი მდივანი.
22. **ჭოჭუა** შალვა ექვთიმეს-ძე — ლიტერატურული მუშაკი.
23. **ხუნდაძე** ევგენია სამსონის ასული — ლიტერატურული მუშაკი.
24. **ჯაფარიძე** ეთერ ვლადიმერის ასული — მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე.

გამომცემლობისა:

1. **დორეული** ქეთევან ალექსანდრეს ასული — განცხადებათა განყოფილების გამგე.
2. **კაიტანჯიანი** სტეფანე ალექსანდრეს-ძე — გამომცემლობა „კომუნისტის“ დირექტორი.
3. **სანებლიძე** ლევან გიორგის-ძე — მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე.
4. **ტაბატაძე** შალვა ტეიბუხის-ძე — უფროსი ბუხჰალტერი.

სტამბისა:

1. **ბუჩუკური** ვასილ ბესარიონის-ძე — საროტაციო საამქროს უფროსი.
2. **ედიშერაშვილი** გიორგი ივანეს-ძე — ასოთამწყობი.
3. **ელიაძე** ალექსანდრე სიმონის-ძე — ასოთამწყობი.
4. **ზუბიაშვილი** ვასილ გრიგოლის-ძე — ცინკოგრაფი.
5. **მელნიკოვი** გიორგი პეტრეს-ძე — საროტაციო საამქროს ოსტატი.
6. **ფივიძე** ივანე ზაქარიას-ძე — სტერეოტიპიორი.
7. **ჩხაიძე** გრიგოლ თეოფილეს-ძე — სალინოტიპო საამქროს უფროსი.
8. **ძახოვი** ილია გიორგის-ძე — სტერეოტიპიორი.
9. **წივწივაძე** შალვა ლეონტის-ძე — პოლიგრაფ-კომბინატ „კომუნისტის“ დირექტორი.
10. **ჯაბადარი** გიორგი მიხეილის-ძე — ასოთამწყობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1954 წლის 20 სექტემბერი.

გაზეთ „კომუნისტს“

მეათიათასე ნომრის გამოსვლის გამო

ლაღ ფრთებს გაშლი არწივულად,
ყველგან სწვდება შენი მზერა,
შენს კალთებზე დარწეულა
ჩემი ლექსი და სიმღერა.

დედა-თბილისს—შენს მკვიდრ ბუდეს
მუდამ კრემლის შუქი მოსავს,
გიძღვნი ამ ლექსს უსათუოესს,
გამარჯვება მომილოცავს.

ეტრფი ქართლის მთებს და ველებს
მაღლა ფრენით, გატაცებით,
იზეიმე, იდღეგრძელე
ბევრი ათიათასები.

დე, ყოველდღე კარს ვაღებდეთ,
და ცხოვრებაც გადიადდეს,
მშვიდობის ხმით გვახარებდე
კომუნიზმის განთიადებს.

ალიო მირცხულავა.

საბჭოთა პრესას

ინათებს დილა თუ არა,
ინათებს შენი სხივები.
ბინაში, როგორც ნათელი,
შრიალით შემოიჭრები.

ჩვენი პარტიის თვალი ხარ,
დამცველი ხალხის ღირსების.
დიდია ჩვენი სამშობლო,
დიდია შენი მიზნები.

შენს ფურცლებიდან მოისმის
ველზე გასულთა გუგუნი,
თვალს ახელს ნაყამირალი,
მიწა მზით გადაბუგული.

შენს ფურცლებიდან მოისმის
ჩვენი დაზგების დანდგარი,
ქარხნის მილების ქუხილი
გულში სიამედ ჩამდგარი.

ჩვენი ცხოვრების სარკე ხარ,
ხალხში გმირულად გახვედი.
ეგ რკინის სტრიქონებია
თუ თვალუწვდენი არხები!

გშვენის მშვიდობის შუქურა,
გშვენის მეომრის ფარაჯა.
დგახარ სინათლის დარაჯად,
დგახარ სიმართლის დარაჯად.

სადაც ვაუკაცი გინატრებს,
სიტყვაფრთიანი იქ არი.
დიდებით გგთენებია
ათი ათასი ცისკარი.

ათი ათასი რა არი,
კიდევ იელვებს რამდენი.
გამარჯვების გზა გქონია
გადაფენილი ვარდებით.

ჩვენი პარტიის თვალი ხარ,
დამცველი ხალხის ღირსების
დიდია ჩვენი სამშობლო,
დიდია შენი მიზნები.

ვახტანგ გოლგანელი.

მანგანუმი ოქტომბრის ანგარიშში

ჭიათურა, 18 სექტემბერი. (საქდესი). „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა 17 სექტემბერს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა.

ოქტომბრის ანგარიშში უშვებს პროდუქციას ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა.

გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლისადმი მიძღვნილი კრება

გუშინ, 20 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად. კრება მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლას.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელნი, საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავე მუშაკები, გაზეთებისა და ჟურნალების თანამშრომლენი, მწერლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. გიორგაძე, ო. გოცირიძე, დ. მჭედლიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური, ა. გუნია და სხვები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ. მან აღნიშნა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწეა იმ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვისათვის ბრძოლაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

ამხ. მჟავანაძემ რედაქციის კოლექტივს, მუშსოფლკორებს მიულოცა გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლა და უსურვა ახალი წარმატებანი საბჭოთა პრესის წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების განხორციელებაში.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ამხ. რ. ქურციკიძემ. მან ილაპარაკა გაზეთის მიერ განვლილი გზის შესახებ. გაზეთი „კომუნისტი“ მრავალი წლის მანძილზე არის კომუნისტური პარტიის დიადი იდეების აქტიური გამტარებელი. იგი მტკიცედ იბრძოდა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში წარმატებების მიღწევისათვის.

გაზეთი მუშაობას ეწევა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის პროპაგანდისათვის, მშრომელთა აღსაზრდელად ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

გაზეთი ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება.

მომხსენებელი ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის გაზეთის მუშაობაში, იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს მისი შემოქმედებითი და ორგანიზატორული მუშაობა, განმტკიცდეს კავშირი მკითხველებთან, უფრო ფართოდ შუქდებოდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხები.

გაზეთ „კომუნისტს“ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის სახელით მიესალმა გაზეთის რედაქტორი ამხ. ი. ჩხიკვიშვილი. მან „კომუნისტს“ უსურვა ახალი წარმატებანი მისი როლის — კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მშრომელთა ორგანიზატორის როლის შესრულებაში.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსანმა მქსოველმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. მ. ბურჯანაძემ, მიულოცა რა გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტივსა და მუშსოფლკორებს, თქვა, რომ გაზეთმა შემდეგში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მრეწველობის განვითარების საკითხების გაშუქებას, წარმოების მუშაკთა ცხოვრებისა და შრომის ჩვენებას.

საბჭოთა სომხეთის პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა სახელით გაზეთ „კომუნისტს“ გულთბილად მიესალმა სომხეთის რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტაკან ჰაიასტანის“ რედაქტორი ამხ. ო. ბაღდასარიანი. მან ილაპარაკა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მომძმე ხალხთა მზარდ მეგობრობაზე, პრესის როლზე მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში.

გაზეთ „კომუნისტს“ მისალმებით მიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა პოეტმა ი. აბაშიძემ. მან გაზეთის კოლექტივს უსურვა მკაფიოდ და ღრმად გააშუქოს კულტურული მშენებლობის საკითხები.

აზერბაიჯანის პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა სახელით გაზეთის მიესალმა აზერბაიჯანის რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორი ამხ. ხ. ვეზიროვი, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ კვლავაც დარაზმავს მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

„კომუნისტის“ კოლექტივს მიესალმა გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ამხ. ზ. პოოლსიანი, რომელმაც ილაპარაკა მის დიდ როლზე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „კომუნისტს“ აგრეთვე მიესალმა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი ლ. აბაშიძე. (საქდესი).

1920

მეათიათასე ნომერი

1954

★ ★ ★

სალამი „კომუნისტს“

გრძელი და სახელოვანი გზა განვლო ჩვენმა გაზეთმა „კომუნისტმა“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ის მტკიცედ რაზმავს მშრომელებს ახალ წარმატებათა „მოსაპოვებლად. ეს მაჩვენებელია „კომუნისტის“ დიდი პოპულარობისა მშრომელთა შორის. ეს პოპულარობა კი იმით ხასნება, რომ ის პირნათლად ემსახურება პრესის დანიშნულებას სოციალისტურ საზოგადოებაში. მართლაც, „კომუნისტი“ ნამდვილი ორგანიზატორია ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისა და ემსახურება ამ საქმიანობის სწორ გზაზე წარმართვას. გაზეთის ფურცლებზე გაშუქებას პოულობენ არსებითი საკითხები პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისა, ის გულისხმიერად ეკიდება ხელოვნების, მეცნიერების და ლიტერატურის ინტერესებს.

როგორც ერთ-ერთი მეცნიერი მუშაკი, ხაზგასმით აღვნიშნავ მის მნიშვნელობას ჩვენში მეცნიერული აზროვნების განვითარების საქმეში. გაზეთი გულწრფელი სიხარულით ეგებება ჩვენს მიღწევებს, მტკიცედ, პრინციპულად აღნიშნავს ნაკლსა და სწორი გზიდან გადახვევას. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი სპეციალური ხასიათის ნარკვევი და გაშუქებულია ესა თუ ის პრობლემა.

გულმხურვალედ ვეგებები გაზეთის მეათიათასე ნომერს, ვუსურვებ გაზეთს მტკიცე და ურღვევი ნაბიჯით უძღვებოდეს წინ თავის მკითხველებს კომუნიზმის სამყაროისაკენ და ამით ამართლებდეს „კომუნისტის“ სახელწოდებას.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე.

ახალი წარმატებებისათვის

გაზეთი „კომუნისტი“ თავის ფურცლებზე ბეჭდავს სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ამსახველ მასალებს, აკრიტიკებს ჩამორჩენას და ჩრდილოვან მხარეებს, სისტემატურად ეწევა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

ჩვენი სურვილია, რომ გაზეთმა უფრო დეტალურად ასახოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შრომითი მიღწევები და მათი მდიდარი მუშაობის გამოცდილება. გაზეთი თითქმის სრულიად არ წერს ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ამ დარგში არსებულ მიღწევათა და ნაკლოვანებათა შესახებ. გაზეთში არ ჩანს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიც არის მეფუტკრეობა, კარგი იქნება, რომ ამ მხრივ გაზეთი მუშაობას გააძლიერებდეს.

ვუსურვებ გაზეთს შემდგომს წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული სერიოზული ამოცანების გადაჭრაში.

გ. წითლიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მაღაროელის სურვილები

გავიგე, რომ გაზეთ „კომუნისტის“ მეათიათასე ნომერი გამოდის. ჩვენმა მშობლიურმა გაზეთმა უეჭველად სახელოვანი გზა განვლო. მაღაროელს მხურვალე და გულწრფელი სალამი იუბლარს, რომელიც გვეხმარება მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლაში.

რა იქნება მაღაროელთა სურვილი და შენიშვნები „კომუნისტისადმი“? გაზეთი სოფლის მეურნეობის საკითხებს რომ ფართოდ აშუქებს, ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, მაგრამ ამან არ უნდა დაჩრდილოს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მრეწველობის მრავალფეროვანი ცხოვრების ასახვა. სასურველია „კომუნისტმა“ უფრო ფართოდ და მიმზიდველად წეროს მაღაროელთა შემოქმედებით შრომაზე, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებაზე. ცუდი არ იქნება, რომ გაზეთმა მეტი ადგილი დაუთმოს შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალი ტექნიკის გამოყენების, შინაგაწარმოო რეზერვების გამოვლინების კონკრეტულ საკითხებს, უფრო ფართოდ გვიჩვენოს მოწინავეთა გამოცდილება, გაკიცხოს უყურადღებოები.

ქართველი მაღაროელები და მეშახტეები უკრაინელ თანამეგობრებს ეჯიბრებიან. კარგი იქნება, თუ „კომუნისტი“ უფრო მრავალფეროვნად გაშუქებს მაღაროელთა და მეშახტეთა მეგობრობას, მათს გამოცდილებას.

სასურველია გაზეთმა დროგამოშვებით ბეჭდოს მოკლე ცნობები ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა შესახებ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამთამადნო მრეწველობის სიახლენი.

მაღაროელები ხალისით წაიკითხავენ, თუ გაზეთი თავის ფურცლებზე ხშირად გამოიტანს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტებს.

კარგი იქნება გაზეთმა პერიოდულად ბეჭდოს უცხოელ მაღაროელთა მძიმე ცხოვრების ამსახველი მასალები.

ვუსურვებ „კომუნისტს“ კვლავაც იყოს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელში ბასრი იარაღი, მშრომელთა კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი, მტრების წინააღმდეგ მიმართული მახვილი.

ჯ. ნადირაძე,
ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს ღრმა შპურებით ბურღვის ინსტრუქტორი.

მეფოღაღის შენიშვნები

„კომუნისტი“ ახალგაზრდა ქართველ მეტალურგთა საყვარელი გაზეთია. მის ფურცლებზე არა ერთი საინტერესო წერილი წაგვიკითხავს ახალი ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავისა და ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი, სისხლსავსე ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

მაგრამ ჩვენი გაზეთის მიმართ ზოგიერთი რამ სასაყვედუროც გვაქვს. განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაზეთი მკრთალად აშუქებს მეტალურგთა საქმიანობას. ხუთი წელია, რაც რუსთავში ფოლადს ვადნობთ. ცოტა უფრო გვიან შევუდექით ნაგლინის, მილნამზადის, ფოლადის მთლიანგლინი მილების გამოშვებას, რამდენიმე თვის წინათ კი პირველი ქართული თუჯი მივიღეთ. ამრიგად, ჩვენს რესპუბლიკაში მეტალური წარმოება ჯერ კიდევ ახალი დარგია. მეტალურგებს გაზეთისაგან მეტი დახმარება სჭირდებათ.

კარგი იქნება გაზეთმა სისტემატურად გამოაქვეყნოს სპეციალისტთა — მეფოლადეთა, მგლინავთა, მებრძმედეთა, წარმოების ოსტატთა და ინჟინერთა წერილები ქარხნის ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების, მეტალურგიული წარმოების ეკონომიკის კონკრეტულ თემებზე. ამ მხრივ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საექსპლოატაციოდ ახლადგადაცემული საწარმოების საქმიანობას. ასეთია ჩვენთან, მაგალითად, ბრძმედის საამქრო.

მეტალურგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს კომპლექსურ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც მოითხოვს წარმოების ყველა უბნისა და ყველა პროფესიის მუშათა გამართულ მუშაობას. „კომუნისტი“ კი რატომღაც კმაყოფილდება მხოლოდ წამყვანი პროფესიის მეტალურგების ჩვენებით. მაგალითად, გაზეთს თითქმის არც ერთხელ არ დაუწერია მარტენის საამქროში ისეთ მნიშვნელოვან უბანზე მომუშავეების შესახებ, როგორიც არიან ღუმელების რემონტზე მომუშავენი, ცეცხლგამძლე ამონაგის ამომშენებლები.

ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ დაუდევრად მუშაობენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები — საჩექების ქსელი, ქარხნის დამზმარე მეურნეობა, ასევე მეტად დაბალ დონეზე დგას ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

სასურველია გაზეთმა აქტიურთან ერთად ამ ობიექტებზე მოაწყოს რეიდები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შ. კუხალეიშვილი,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.

მეცნიერთა მოთხოვნები

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დახმარება, რომელსაც „კომუნისტი“ გვიწევს ჩვენ, მეცნიერ მუშაკებს, მუშაობაში. მაგრამ მეცნიერი მუშაკები გაზეთისაგან კიდევ უფრო მეტს მოვითხოვთ. ჩვენ გვიხდა, რომ გაზეთი მეტ ადგილს უთმობდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, მოწინავეთა გამოცდილების და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მასებისათვის გაზიარებას.

ჩვენ ამდენ მოთხოვნილებას არ წაგუყენებდით „კომუნისტს“, რომ გაგაჩნდეს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი და შესაფერისი ჟურნალი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა არმიისათვის, რომელთა რიცხვი კოლმეურნეობებში, სამბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში და სხვაგან 15.000-ს აღემატება. ასეთ მძლავრ კოლექტივს კი აუცილებლად ესაჭიროება თავისი დარგობრივი გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევდნენ მათ საქმიანობაში.

მომწიფებული საკითხია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომუშავე სპეციალისტების — აგრონომების კვალიფიკაციის ამაღლება, ამ მიზნით კვალიფიკაციის ასამაღლებელი შესაფერისი ინსტიტუტის არსებობა და სხვ.

ვფიქრობ, დროულია, რომ გაზეთმა დააყენოს ასეთი საკითხები და მსჯელობის საგნად გახადოს ისინი.

სულით და გულით ვუსურვებ ჩვენს ძვირფას გაზეთს მე-10000 ნომრის გამოსვლას და ვუსურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

პროფესორი ირ. ბათიაშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სახელოვნო ნაწილში.

ფართოდ ვუჩვენოთ მოწინავეთა გამოცდილება

გაზეთი „კომუნისტი“, განსაკუთრებით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ, თავის ფურცლებზე აშუქებს მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილებას, წერს საქართველოს და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარჩინებულ მეცხოველეთა შესანიშნავ გამოცდილებაზე, მათი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე. ამ მასალების გაცნობა დაგვეხმარა მუშაობის უკეთ მოწყობაში. წველადობის წლიური გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე — ათი სექტემბრისათვის შევასრულეთ. 100 ათასი კილოგრამის ნაცვლად მივიღეთ 105 ათასი კილოგრამი რძე, ანუ სამფალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე 2.600 კილოგრამი. შექმნილი გვაქვს მტკიცე საკვები ბაზა.

საჭიროდ მიგვაჩნია გაზეთმა კიდევ მეტი ყურადღება მიაქციოს მეცხოველეობის საკითხების გაშუქებას, გამოცდილების უკეთ ჩვენებას. სასურველია გაზეთმა ფართოდ გააშუქოს მეცხოველეობის მოწინავეთა ყოფაცხოვრება, გვიჩვენოს წამახალისებელი ღონისძიებანი და მათი პრაქტიკული გამოყენება მეცხოველეობაში. გარდა ამისა, საინტერესო იქნება გაზეთის ფურცლებზე გაშუქდებოდეს მეცხოველეობის განვითარების თავისებურებანი სუბტროპიკულ რაიონებში, განსაკუთრებით საკვები ბაზის განვითარების დარგში.

ჟ. ვერძაძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადირი.

მეჯი კავშირი სპეციალისტებთან

მაგონდება ის წელი, როცა საქართველოს მშრომელებმა სიყვარულით აღნიშნეს „კომუნისტის“ მე-1000 ნომრის გამოსვლა... იმ დროს ჩვენს რაიონში გაზეთი მცირე რაოდენობით იყო გამოწერილი. დღეს თეთრი წყაროს რაიონის ერთ სოფელში ასურეთში მარტო ინდივიდუალურად „კომუნისტი“ 151 კაცს აქვს გამოწერილი. გვიყვარს ჩვენი გაზეთი, ჩვენი უხუცესი ნეკდვითი ორგანო, მარად მზარდი, ძნელ და ახალგაზრდული ენერგიით სავსე, აქტიური მებრძოლი, ყოველივე ახლის, პროგრესულის, მოწინავის პროპაგანდისტი, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების ურყევი გამტარებელი.

ამიტომ არის, რომ სოფელში ყოველდღიურად მოუთმენლად ველოდებით ფოსტას და „კომუნისტის“ მოსვლას. მე ვიცი ბევრი ამხანაგი, რომლებსაც საღამოს სამუშაოდან დაბრუნებისას გაზეთის წაკითხვამდე დანაყრება არ აგონდებათ.

ჩვენ გვსურს „კომუნისტმა“ კიდევ უფრო გააღრმაოს მუშაობა ჩვენი ხალხის და სახელმწიფოს დიდი ნაციონალური კაპიტალის — ჩვენი სამშობლოს მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების პოპულარიზაციისათვის, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების საკოლმეურნეო წარმოებაში მასობრივად დანერგვისათვის. ჩვენი სურვილია „კომუნისტმა“ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი კავშირი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან.

გაზეთის მუშაკთა კოლექტივს ვუსურვებ წარმატებებს პარტიისა და მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულების საქმეში.

აგრონომი ესტატე კაკულია.

ძველი მუშის ნაამბობი

1921 წლის 25 თებერვალია. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

გადაუღებლად თოვს. მენშევიკებმა გაქცევის წინ პროვოკაციული ხმები გაავრცელეს: ბოლშევიკები დედაქალაქში რბევას, ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობებს მოახდენენო. არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ასეთი ზღაპრები.

მოვლენათა მსვლელობა არ ამართლებს ქართველი ხალხის მტრების—უდღეური მენშევიკების „წინასწარმეტყველებას“.

დედაქალაქში სრული წესრიგი და სიმშვიდეა. ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს.

საღამოს სამუშაოდან ბინაში ვბრუნდები. თან მაქვს გასაღები გაზეთ „ერთობის“ სტამბისა, სადაც ასოთამწყობად ვმუშაობდი. ეს გასაღები წინაღღით გადმომცა სტამბის ყოფილმა გამგემ, რომელმაც მენშევიკების მთავრობასთან ერთად ბათუმისაკენ მოკურცხლა.

დაახლოებით ღამის პირველი საათია. ვწევარ. მესმის ალაყაფის კარების ტრაბუნი. ვიღაცამ ჩემი გვარიც ახსენა.

კარი გავაღე. ოთახში სამი უცნობი შემოვიდა. მეგობრულად გამომიწოდეს ხელი, გამეცნენ როგორც კოლეგები და სტამბის გასაღები მოიკითხეს.

მე შევყოყმანდი. ასეთ მომენტში მოსალოდნელია ყველაფერი: ხომ შეიძლება ისარგებლონ ბნელი ზრახვების ადამიანებმა!

მოსულებმა შემამჩნიეს ყოყმანი. დაემშვიდობენ და მითხრეს, რომ მეორე დღით სტამბაში მივსულიყავი და თან გასაღები მიმეტანა.

დაიწყო მზადება გაზეთის გამოსაცემად. აწყობაზე ს. ზეკუთაშვილი (შემდეგ იგი ამ სტამბის დირექტორი, ხოლო ბოლოს მეტრანსპაჟი იყო), პ. ზოხუა და მე ვმუშაობდით.

1921 წლის 2 მარტს აღდგა გაზეთი „კომუნისტი“, რომლის გამოცემა შეწყვეტილი იყო.

პირველ ხანებში გაზეთი მცირე ტირაჟით გამოდიოდა.

საბჭოთა საქართველოს ზრდასა და დავაკაცებასთან ერთად თანდათან იზრდებოდა და ვაკაცდებოდა „კომუნისტიც“, იზრდებოდა მისი ტირაჟი, პოპულარობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დღეს, როცა „კომუნისტის“ მე-10000 ნომერი გამოდის, ვიგონებ განახლებული გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლას და გული სიხარულით მევსება; განსაკუთრებით მახარებს ის, რომ დღესაც განვაგრძობ „კომუნისტის“ აწყობას, რომელსაც მასებში ყოველდღიურად შეაქვს მართალი კომუნისტური სიტყვა, საქართველოს მშრომელებს ყოველდღიურად ესაუბრება ჩვენს დიდ ცხოვრებაზე, ჩვენს ამოცანებსა და მიღწევებზე, რაზმავს მათ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ა. ელიაძე,
ლინოტიპისტი.

ასე კეთდება გაზეთი



ერთი შეხედვით უბრალო და ყველასათვის ხელმისაწვდომი გაზეთი ჩვენი მრავალრიცხოვანი ჟურნალისტებისა და პოლიგრაფისტების დაძაბული შრომის შედეგად არის მიღებული. გაზეთი სანამ წასაკითხად მომზადდებოდეს, მრავალი პროფესიის ადამიანების ხელში ურთულეს ოპერაციებს გაივლის. ამ სურათებში თქვენ ხედავთ გაზეთის მომზადებისა და ბეჭდვის მთელ პროცესს. 1. ლინოგრაფები ვ. ზუბიაშვილი და ა. ავაკოვი ამზადებენ კლიშეებს; 2. ლინოტიპისტი ა. გოგოლაშვილი ლინოტიპის მანქანაზე აწყობს „კომუნისტის“ მასალებს; ინსტრუქტორი გ. ჩხაიძე ანაწილებს ასაწყობ წერილებს; 3. გაზეთის გვერდების დამკაბადონებლები მ. მამედოვი, ს. მამალაძე, ხ. ყიფიანი მუშაობის დროს; 4. სტერეოტიპიორები ი. დემუროვი, ვ. ყივიძე, ხ. საჩანელი ასხამენ გაზეთის გვერდებს; 5. მბეჭდავი ნ. სალიაშვილი და საამქროს ოსტატი გ. მელნიკოვი ამოწმებენ საროტაციო მანქანიდან მიღებული გაზეთის ბეჭდვის ხარისხს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენი მეგობარი

გაზეთმა „კომუნისტმა“ ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო. მის ფურცლებზე ყოველთვის გამოსახატულებას პოულობდა ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები.

გაზეთ „კომუნისტს“ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართველ საბჭოთა ხელოვნების განვითარებისა და წინსვლის საქმეში. ის მუდამ კომუნისტური პრინციპულობითა და შეურიგებლობით ამხილებდა ყოველგვარ გადახვევებს სოციალისტური რეალიზმის სწორი გზიდან და საქართველოს ხელოვნების მუშაკებს ეხმარებოდა ჩვენი დიადი ყოფის ამსახველ ნაწარმოებთა შექმნაში.

როდესაც ჩვენს მებრძოლ გაზეთს მისი მეათიათასე ნომრის გამოსვლის საზეიმო დღეს მთელ ქართველ ხალხთან ერთად გულმხურვალედ ესალმებიან ხელოვნების მუშაკები, გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი სურვილი.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა ფართოდ გაშუქებასთან ერთად, რაც მიმართულია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისაკენ, გაზეთმა მეტი ყურადღება უნდა დუთმოს ლიტერატურისა და ხელოვნების სადღეისო საკითხებს, კერძოდ, სისტემატურად დაბეჭდოს კვალიფიციური თეატრალური რეცენზიები ახალ სპექტაკლებზე, რასაც, სამწუხაროდ, გაზეთი ყოველთვის ვერ ახერხებს.

საქართველოს ხელოვნების მუშაკები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ გაზეთი კვლავაც იქნება პარტიისა და მთავრობის საიმედო დასაყრდენი და ხელოვნების მუშაკთა გულისხმიერი მეგობარი.

აკაკი ხორავა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

„კომუნისტის“ რედაქციას

ქართული პრესის მესვეურს გაზეთ „კომუნისტს“ ვულოცავ ბრწყინვალე იუბილეს — მეათიათასე ნომრის გამოსვლას და ვუსურვებ კვლავაც განგრძოს დიადი მისია ჩვენი ხალხის ცნობიერების ამაღლების საქმეში, თავისი წვლილი შეეტანოს ბედნიერი მომავლის შექმნის საქმეში.

განსაკუთრებით ვუსურვებ ბოლო სტეროდეს დროშა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად.

პროფესორი აკაკი შანიძე.

გავაძლიეროთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა

წრფელი გულით ვულოცავ გაზეთ „კომუნისტს“ რედაქციის მუშაკებს ღირსშესანიშნავ მოვლენას — გაზეთის მეათიათასე ნომრის გამოსვლას და ვუსურვებ მათ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას.

თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი დიდ დახმარებას გვიწევდა მზიური საქართველოს მშრომელებს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი მიგვითითებდა ნაკლოვანებებზე, გვიჩვენებდა მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებს. მისი საშუალებით ვგებულობდით ამბებს ჩვენი საბჭოთა ხალხის ახალი სამეურნეო გამარჯვებების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებისა და ძვირფასი ინიციატივის შესახებ.

მაგრამ მე მაინც მინდა გამოვთქვა ჩემი შენიშვნები. გაზეთი ნაკლებ ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე მრეწველობის საკითხებს, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობაში არსებული მტკივნეული საკითხების გამოვლინებას, იშვიათად ბეჭდავს სპეციალისტების წერილებს ეკონომიკის საკითხებზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზებსა და საშუალებებზე, საწარმოთა რენტაბელურ მუშაობაზე. სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ისეთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება.

სუსტად შუქდება წარმოების მოწინავეთა გამოცდილება. სათანადოდ არ ხდება ნოვატორთა შრომის ხერხებისა და მეთოდების პოპულარიზაცია, გაზეთი ხშირად კმაყოფილდება ამ საკითხებზე მხოლოდ ინფორმაციების ბეჭდვით, რაც ხშირად კამპანიურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში არაფერი დაბეჭდილა ლითონის ჩქარისნული და ძალისხური დამუშავების შესახებ.

გაზეთის ფურცლებზე იშვიათად ქვეყნდება წარმოების ხელმძღვანელთა, მოწინავე მუშათა წერილები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

ვუსურვებ გაზეთის რედაქციის შემოქმედებითს კოლექტივს სწრაფად გამოესწორებინოს ნაკლოვანებანი და მოეპოვებინოს ახალი დიდი წარმატებანი.

ი. ჯუმბუტაძე,
სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი.

უკეთ დავეხმაროთ აგიტატორებს

„კომუნისტი“ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აქტიურად ეხმარება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

20 წელია აგიტატორად ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში გაზეთი „კომუნისტი“ დიდ დახმარებას მიწევს თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებით.

ვუსურვებ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივს შემდგომ წარმატებებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა შესრულებაში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში გაზეთი უფრო ხშირად გამოქვეყნებს მასალებს აგიტატორთა დასახმარებლად და უფრო ფართოდ გაშუქებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

აგიტატორი ალ. სამხარაძე,
სოფელი ობჩა, მაიაკოვსკის რაიონი.

მოგონება

ჩემს მეხსიერებაში მარად წარუშლელი იქნება 1920 წლის ივნისის დღე, როცა თიანეთში, ჩემს სახლში, მალულად მივიღე და კუდელზე გავაკარ ახალგამომვებული „კომუნისტის“ პირველი ნომერი. ორიოდე დღის შემდეგ გაზეთის რედაქციას კაცის ხელით გავუგზავნე წერილი „თიანელის“ ფსევდონიმით. ამ წერილით მივესალმებოდი მას და ვუსურვებდი გამარჯვებას.

გაზეთის უკვე მე-9 ნომერში, რომელიც შაბათს, 1920 წლის 12 ივნისს გამოვიდა, დაბეჭდილი იყო ეს წერილი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ამაღელვა და აღმაფრთოვანა გაზეთში გამოქვეყნებულმა ჩემმა ორიოდე სტრიქონმა. ამის შემდეგ „კომუნისტში“ კიდევ დაბეჭდა ჩემი რამდენიმე წერილი.

იმ დღიდან ოცდათოთხმეტზე მეტმა წელმა განვლო, გამოვიდა გაზეთის ათი ათასი ნომერი, რამდენი რამ შეიცვალა, რა უდიდესი გარდაქმნები მოხდა ამ ხნის მანძილზე საქართველოში — ცარიზმის ყოფილ კოლონიურ მხარეში! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობით ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა. დიდი ძალა გახდა „კომუნისტი“. იგი კომუნისტური იდეების მგზნებარე აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორია.

უსაზღვროდ მიყვარს გაზეთი „კომუნისტი“, რომლის პირველ ნაბიჯებთან ერთად დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. იგი ჩემი აუცილებელი სულიერი საზრდოა და მოუთმენლად ველი მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

სულით და გულით მივესალმები გაზეთს მისი მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით და ვუსურვებ ახალ წარმატებებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

დ. ბარაბვაძე,
კომუნისტური პარტიის წევრი 1920 წლიდან.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენციებზე

ამ დღეებში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა. მოხსენება თემაზე — „გაზეთ „კომუნისტის“ განვლილი გზა და მომავალი ამოცანები“ გააკეთა „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ამხ. რ. ქურცკიძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ გაზეთი „კომუნისტი“ ფართოდ აშუქებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებას, იბრძვის წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. გაზეთი უჩვენებს შრომის ნაყოფიერების გადიდების კონკრეტულ გზებს, ხელს უწყობს ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებას და სხვ. მაგრამ გაზეთის მუშაობაში არის ნაკლოვანებანიც.

გაზეთ „კომუნისტში“, თქვა საქვაბე საამქროს მექვაბემ ბ. სუხიაშვილმა, ჯერ კიდევ ცოტა იწერება წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციის, წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე. გაზეთმა მხარი უნდა დაუჭიროს მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების შემოქმედებითს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ლითონის ჩქაროსნული ჭრის შემდგომი გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის გამოშვების ზრდა, მისი ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით, ამბობს ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. გ. კაჭკაჭიშვილი, ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი გახდა წარმოების ნოვატორების ჭუმბურიძის, ილურიძის, ამირანაშვილისა და სხვების გამოცდილება. მაგრამ უკანასკნელ ხანს ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მოწინავე მუშების გამოცდილების დანერგვას. გაზეთმა ხელი უნდა შეგვიწყოს ამ კეთილშობილურ საქმეში.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ სალითონო საამქროს ოსტატი მ. ფუტკარაძე, ამწყობი საამქროს მექვაბე ი. მაჩაიძე, სამგზავრო-სავაგონო საამქროს მუშა ა. მკერვალიშვილი, გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქტორი ი. ზოლქვაძე და სხვები, რომლებმაც დააყენეს საკითხი, რომ „კომუნისტის“ ფურცლებზე უფრო ფართოდ შუქდებოდეს საწარმოო სიახლენი.

* * *

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიას ძდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში ამას წინათ შედგა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენცია.

აქ იყვნენ კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია, მექანიზატორები, უფროსი კლასების მოსწავლეები.

მკითხველთა კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ჩილაჩავამ. მოხსენება თემაზე — „კომუნისტის“ განვლილი გზა და ახალი ამოცანები“ გააკეთა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ამხ. ზ. თათარიშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრონომებმა, პედაგოგებმა, აგროტექნიკოსებმა, მექანიზატორებმა, კოლმეურნეობათა რიგითმა წევრებმა.

— მთელი ჩვენი სოფელი კითხულობს გაზეთ „კომუნისტს“, — თქვა მასწავლებელმა ტ. თორდიამ. — კოლმეურნეთა, მასწავლებელთა, მექანიზატორთა ოჯახები ყოველდღე ინტერესით ელოდებიან გაზეთის ნომრის გამოსვლას. ამიტომ ბუნებრივია, რომ დღეს ჩვენი სოფლის 450-ადგილიან კლუბში ტევა არ არის. ჩვენ ბევრ რამეში გვეხმარება გაზეთი „კომუნისტი“. იგი გვაძლევს სწორ გზას შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ისე როგორც მასწავლებელმა ტ. თორდიამ, სიტყვით გამოსულმა სხვა ამხანაგებმაც თავიანთ გამოსვლებში გაზეთის მიღწევებთან ერთად აღნიშნეს ნაკლოვანებანი და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი. მათ მოითხოვეს გაძლიერდეს გაზეთში ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიც არის მეცნიერ მუშაკთა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსთა შემოქმედებითი თანამეგობრობა, მოწინავეთა გამოცდილება. გაზეთში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ანტირელიგიურ პროპაგანდას, სასკოლო ცხოვრებას, პროპაგანდისტულ სტატიებს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა დასახმარებლად.

მკითხველთა კონფერენციამ იმედი გამოთქვა, რომ გაზეთის სარედაქციო კოლეგია ამ ნაკლოვანებებს გაითვალისწინებს თავის მომავალ მუშაობაში და „კომუნისტს“ უფრო მრავალფეროვანს გახდის.

ელექტრომავარებელი—სამგზავრო-ქუთაისის ავტოქარხანა

ქუთაისი, 18 სექტემბერი. (საქკადესი). დღეს აქ მოვიდა პირველი საგარეუბნო ელექტრომატარებელი — სამტრედია-ქუთაისის ავტოქარხანა, რომელიც აგრეთვე ოვლის წყალტუბომდე. მატარებელი დაწესებულია ავტოქარხნის იმ მუშათა და მოსამსახურეთა უკეთ მომსახურებისათვის, რომლებიც ქუთაისის გარეუბანში ცხოვრობენ.

ბულგარული ხელოვნების ოსტატები საქართველოში

უკვე რამდენიმე კვირაა საბჭოთა კავშირში იმყოფება ბულგარელ მსახიობთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან დიმიტროვული პრემიის ლაურეატები სოფიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები; ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. იოსიფოვი და ნ. სიმეონოვა, სოფიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ნ. აფეიანი, აგრეთვე სოფიის რადიოს სოლისტები მოამდერალი ი. კარაივანოვი, ბულგარული ხალხური ინსტრუმენტების დამკვრელი ც. ბლაგოევი და კონცერტმაისტერი ე. მინდიზოვა.

ბულგარელ მსახიობთა ჯგუფი პირველად მოსკოვს ჩავიდა. მათ ინახულეს მოსკოვის ლენინურ-სამეურნეო ინსტიტუტი, ეწვივნენ ლენინის გორაზე მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ესაუბრნენ სტუდენტებს. დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სახალხო-სამეურნეო გამოფენა. აქ მათ გულთბილი შეხვედრები მოუწყეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გამოჩენილმა ადამიანებმა—სოციალისტური შრომის გმირებმა. მოსკოვიდან დელეგაცია გაემგზავრა სომხეთის სსრ დედაქალაქ ერევანში, სადაც ოთხი დღე დაჰყო. ბულგარელი სტუმრები იყვნენ ეჩმიაძინში, ერევნის ღვინის ქარხანაში, კოლმეურნეობებში. ბულგარელებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქში გაჩაღებულმა დიდმა მშენებლობამ. ამჟამად ბულგარელები საქართველოში იმყოფებიან.

„სად არ ვყოფილვარ, ქვეყნის რომელ კუთხეში არ მიმოგზაურია, და ასე არც ერთი ქალაქი არ მომწონებია! იქნებ იმიტომ, რომ ასე საოცრად ჰგავს მაღალი მთებით გარშემორტყმული, მწვანეში ჩაფლული სოფია თბილისს. ასეთი გულთბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაშიც“, — განაცხადა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. იოსიფოვმა. მუსიკისადმი სიყვარული,—თქვა მან, — პირველად ქართველმა გამიღვიძა. ცნობილი ქართველი მოხტიალე მუსიკოსი ილიკო ჭურხული ჩემი პირველი მასწავლებელია. როგორ მინდა, რომ მან იცოდეს ჩემი აქ ყოფნა, ალბათ ვერც კი მიცნობს, ჩვენ ხომ 30 წელია ერთმანეთი არ გვინახავს.

— ბულგარელებს განსაკუთრებით უყვართ სახელგანთქმული საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ასეთი დიდი წარმატება ჰქონდა ჩვენს სამშობლოში, — ამბობს სოფიის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ნ. აფეიანი.

— ჩვენ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველგან, სადაც კი ვიყავით, თვალში გვხვდებოდა ეროვნული კულტურის აყვავება, ცხოვრების მაღალი დონე, დიდი მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა, — განაცხადეს ბულგარელმა სტუმრებმა.

ქართველმა მაყურებელმა დიდი ინტერესით მოიხმინა ბულგარელი ხელოვნების ოსტატების მიერ შესრულებული რუსი და უცხოელი კლასიკოსების, ბულგარელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ასევე გულთბილად შეხვდნენ მსმენელები ბულგარელი მსახიობების მიერ შესრულებულ ბულგარულ ხალხურ სიმღერებს.

გ. ქასაბაშვილი.

სურათზე: ბულგარელი მსახიობები (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. კარაივანოვი, ე. მინდიზოვა, ი. იოსიფოვი, ნ. აფეიანი, ნ. სიმეონოვა, ც. ბლაგოევი.

ინგლისელ ექიმთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რამდენიმე დღეს დაჰყო ინგლისელ ექიმთა დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს ლონდონის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის პროფესორი ე. მ. კილიკი. ინგლისის მედიცინის მოღვაწენი გაეცნენ რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ინგლისელმა ექიმებმა ინახულეს თბილისის პირველი საქალაქო საავადმყოფო, დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი და საგარეჯოს რაიონული საავადმყოფო.

თბილისიდან გამგზავრების წინ დელეგაციის წევრები შეხვდნენ თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

19 სექტემბერს ინგლისელ ექიმთა დელეგაცია სოჭში გაემგზავრა. ვაგზალზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეებმა ვ. მაღრაძემ და ლ. გომელაურმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა დ. ბერეკაანმა და სხვებმა. (საქდესი).

ფელეტონი

ბლოკნოტიანი კაცის დანაშაული

ეს მოხდა სრულიად ჩვეულებრივად, თითქმის უბრალოდ:

რაიონში მივიდა ბლოკნოტიანი კაცი. ბლოკნოტი, როგორც მოგეხსენებათ, ახლა პატარა მოწაფესაც ვერ გააკვირვებს, მაგრამ იმ კაცის ბლოკნოტმა კი უცებ გააკვირვა რაიმუშაკები. მოხდა ეს იმიტომ, რომ იმ კაცის ბლოკნოტს ყოველი ფურცლის თავზე გაზეთის სახელწოდება აწერია და თან მსხვილი შრიფტით ეწერა:

„საკუთარი კორესპონდენტი“.

აი როგორი ბლოკნოტი ჰქონდა იმ კაცს!

ცნობილია, რომ ჩვენში საკუთარი კორესპონდენტები და, საერთოდ, გაზეთის მუშაკები მეტად თავისებური ხალხია; აი ისეთი ხალხი, როგორსაც პარტია ზრდის და ლენინ — სტალინის სამართლეს ასწავლის. მათ არ სჩვევიათ ბაამებლობაზე ფიქრი, არც იმისი ანგარიშის გაწევა იციან, რომ აქ რაიონია და შესაძლებელია რაიონში იყვნენ ისეთი რამდენადმე პასუხისმგებელი ან ოდნავ პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთაც ნაკლოვანებების საქვეყნოდ გამოტანა არც უყვართ, არც სჩვევიათ და არც ამის ნებას იძლევიან.

თუ რატომ არ უყვართ ასეთ მუშაკებს ნაკლოვანებების საქვეყნოდ გამოტანა, ეს გასაგებია: გული სტკივათ, ჩვენი რაიონის მუნდირს სახელი არ გაუტყდესო, მის რამდენადმე პასუხისმგებელი ან ოდნავ პასუხისმგებელი მუშაკების ღვაწლს ჩრდილი არ მიადგესო.

მართლაც და ვისი ბრალი უნდა იყოს, თქვენის აზრით, რაიონის ჩამორჩენა, სხვადასხვა დარღვევა და უუნარობა?

ეს მშვენივრად იცოდნენ იმ რაიონის როგორც რამდენადმე ისე ოდნავ პასუხისმგებელმა მუშაკებმაც და, ნურას უკაცრავად, თუ ასეთი ბლოკნოტიანი კაცების კრიტიკას კრიტიკულად და, ცოტა არ იყოს, ეჭვითაც შეხედავდნენ.

აი რაოდენი სირთულე შეიძლებოდა დახვედრილ ბლოკნოტიან კაცს იმ რაიონში.

დახვდა კიდეც.

ის თავის ახალ ბინაში ჯერ არც კი „განლაგებულიყო“, როცა რაიონის რამდენადმე პასუხისმგებელმა მუშაკმა ოდნავ პასუხისმგებელი მუშაკის მოხსენება მოისმინა ბლოკნოტიანი კაცის ჩამოსვლის თაობაზე და ჯეროვან ინსტრუქციას ხაზგასმით დაუმატა:

— ყურისგდება უნდა: ხომ შეიძლება მან რაიონის საქმეები ისე ვერ დაინახოს, როგორც ჩვენ ვხედავთ?

—გასაგებია, ვუგდებთ ყურს თქვენი ნაკადი ხელმძღვანელობით, — დაარწმუნა იგი ოდნავ პასუხისმგებელმა მუშაკმა.

სწორედ ისეც გამოვიდა:

ბლოკნოტიანმა კაცმა „ყურის გდებას“ ყური არ უგდო და ისე ვერ დაინახა რაიონის საქმეები, როგორც მას რაიმუშაკები ხედავდნენ. მან დაინახა ფაქტები ისე, როგორც ისინი სინამდვილეში იყო.

ეს ფაქტები აშკარა დამახინჯებას ღაღადებდნენ.

მაგალითად, რაიონში ძირეული პრესა საესებით უგულებელყოფილი აღმოჩნდა. კედლის გაზეთები სულს ღაფავდნენ და მათ შემთხვევითი ადამიანები, ზოგჯერ შრომის დეზერტირებიც კი „ხელმძღვანელობდნენ“.

ერთ-ერთ კოლმეურნეობაში თვალისახვევი აღმოჩინა, წესდების დარღვევისა და ლოთობის ფაქტებიც კი გამოჩხრეკა, რაიონურობაში ხომ ფასების აშკარა დამახინჯების, გაფლანგვისა და დანაშავეთა დაფარვის მაგალითები გამომეღვანა.

თუმცა ყველაფერი ეს რაიონის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმატების ფონზე ხდებოდა, მაგრამ ჩამორჩენის მიზეზი რომ აშკარა დაუდევრობაში მდგომარეობდა [illegible] უდავოდ დამტკიცდა.

მართალია, [illegible] ბომბის არც ერთი სასეობა არ [illegible], [illegible] შეიძლებოდა ასეთი განზრახვა ჰქონოდა, მაგრამ მისმა მამხილებელმა წერილებმა რაიონში ბომბის აფეთქების შთაბეჭდილება გამოიწვია. დაირღვა წლების იდილიური მყუდროება: ქვა ქვას ეცაო, რომ იტყვიან, ისე გამოვიდა.

რაიონის ყველა რამდენადმე პასუხისმგებელმა მუშაკმა ახსნა-განმარტება მოითხოვა, თუ რატომ და რა მიზეზებით გაბედა ბლოკნოტიანმა კაცმა რაიონის მუნდირის გამოჩენება პრესაში და, რაც მთავარია, ვინ არის თვითონ ის? რა ხალხია მისი მშობლები და მეზობელ-ნათესავები? როგორ შეიძლება ასეთ ინტრიგანს, რომელიც ბეღავს და ფაქტებს არა რაიონის მუშაკთა თვალსაზრისით ხედავს, რაიმე დანაშაული არ მიუძღოდეს, საბჭოთა ადამიანის მორალს არ არღვევდეს, თანამდებობით ბოროტად არ სარგებლობდეს და გამომძალვას ან ლოთობას არ ეწეოდეს?

დასტობით გადაჭრელდა განმარტებითი ბარათები, დაიწყო ბლოკნოტიანი კაცის მისხეთ-მისხის გამოძიება.

თვით ბლოკნოტიანს კი ადგილზე დაუწყეს შესწავლა: კოოპერატივიდან უფასოდ ხომ არ გამოაქვს ბროდუქტები? (ზოგმა თქვა: „მგონი, გამოაქვსო“ და ეს ჩაიწერა ბრალდების აქტში!), მეგზურანილისაგან ოხრახუში რომ იყიდა — აბაზი ნამდვილად გადაიხადა თუ არა? (ზოგმა თქვა: „მგონი, არ გადაუხდიაო“ და ესეც ბრალდების აქტს მიემატა!), აფთიაქიდან ბოთლით წამალი რომ გამოატარა, ეს ნამდვილად სასადილოდან არაყი ხომ არ მოჰქონდაო? (ზოგმა ამაზეც თქვა: „მგონი, არაყი მოჰქონდაო“ და ბრალდებაში მისი გამოუსწორებელი ლოთობაც ჩაიწერა).

მაგრამ ყველაფერი ეს საქმეროც აღარ იყო, რადგან ბლოკნოტიანი კაცის დანაშაული ისედაც უდავოდ დამტკიცდა:

მის ერთ-ერთ მამხილებელ წერილში ისეთი ტყუილები აღმოაჩინეს, რომ თავის წერილებს თვითონვე აბათილებდა: მაგალითად, ზოგიერთი მუშაკის ლოთობას რომ ამხილებდა, რიხიანად აცხადებდა „... იმ დროს ამხანაგი „ენი“ და „ენა-ენი“ კახურით გამობრუჟეულნი ყანწს ყანწზე გადადიოდნენო“.

ოდნავ პასუხისმგებელმა მუშაკებმა საბუთებით დამტკიცეს, რომ ზემოდასახელებული ამხანაგები ზემოდასახელებულ სასადილოში სვამდნენ სამტრესტის საწყობიდან სპეციალურად გამოწერილ ხვანჭკარას და არა კახურს; რაც შეეხება ყანწებს, მსგავსი სასმისების ხსენებაც კი არ ყოფილა იმ სასადილოში და აღნიშნულ ამხანაგებს ღვინო მაღე იმიტომ მოეკიდათ, რომ ბროლი მოზრდილი თასებითა სვამდნენო.

„ასეთი ცილისწამების შემდეგ, აღნიშნული საკუთარი კორესპონდენტი ჩვენს რაიონში გასაჩერებელიც კი არ არისო“, — დასკვნიდნენ ოდნავ პასუხისმგებელი მუშაკები.

ბლოკნოტიანი კაცის მიმართ დასაბუთებული ბრალდება რამდენადმე პასუხისმგებელმა მუშაკებმა ზემდგომ ორგანოებში გადაგზავნეს.

იქ საქმემ სულ სხვა ხასიათი მიიღო: იქ ბლოკნოტიან კაცს, წასახალისებლად თავზე ხელი გადაუსვეს, ხოლო რამდენადმე პასუხისმგებელ მუშაკებს გაახსენეს: სრულიად უმართებულოა სარკის დამსხვრევის ცდა იმიტომ, რომ ის სიმახინჯეს ლამაზად არ აჩვენებსო.

ამასთანავე მიიღეს ორგანიზაციული ზომები, რომლებმაც დიდად, დიდად გაანაწყენა იმ რაიონის როგორც რამდენადმე პასუხისმგებელი, ისე ოდნავ პასუხისმგებელი მუშაკები.

ფარსადანი.

ახალ კლუბს აშენებენ

ახალი კლუბის მშენებლობა დაიწყეს თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ მარტყოფის კოლმეურნეებმა. კლუბის დარბაზი 350 მაყურებელს დაიტევს. მას ექნება ფართო სცენა და რამდენიმე ოთახი წრეებისა და თვითმოქმედი მხატვრული გუნდების მუშაობისათვის.

კომუნისტური მორალის შესახებ

კომუნიზმის მშენებლობას ვერ ვაწარმოებთ, თუ გადაჭრით არ ვებრძოლეთ კაპიტალიზმის ყველა გადმონაშთს. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა შეგნებაში შემორჩენილია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთები, რომლებიც არა მარტო დარჩენილია ამ ადამიანთა შეგნებაში, არამედ თავს იჩენს მათი კონკრეტული მოქმედებით, ქცევით. ამას მოწმობენ სოციალისტური საკუთრების დატაცების, სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები, რაც გვხვდება ჩვენს საზოგადოებაში. წარსულის გადმონაშთებს ეკუთვნის რელიგიური რწმენაც. წარსულის ყველა ეს გადმონაშთი თავისთავად როდი კვდება. ამ გადმონაშთების დასაძლევად საჭიროა ვამაღლებდეთ მშრომელთა კულტურულ დონეს, მათს პოლიტიკურ შეგნებას, ვზრდიდეთ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

მორალი ისტორიულად ჩამოყალიბებული იმ წესების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანთა ყოფაქცევას საზოგადოებაში, სახელმწიფოში, ოჯახში, ერთმანეთს შორის. არ არის სამარადისო, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული მორალი. მორალი არის საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმა და წარმოიშობა ეკონომიური ურთიერთობის ბაზაზე. იცვლება ეკონომიური ურთიერთობა, იცვლება მორალური ნორმებიც. ის, რაც ერთ დროს სიკეთედ ითვლება, სხვა დროს ბოროტებად მიაჩნიათ. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა კლასს აქვს ყოფაქცევის სხვადასხვა ნორმები და სხვადასხვა წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება. მაგალითად, ამერიკელი იმპერიალისტები ომის ისტერიას აჩაღებენ, და ეკლესიის ბევრი მათი მსახური წინასწარ ლოცავს ომს. მშრომელებს კი ომი, რომელსაც იმპერიალისტები აჩაღებენ, დანაშაულად მიაჩნიათ.

ბურჟუაზიული მორალის ეკონომიური საფუძველია წარმოების ეარალთა და საშუალებათა კერძო საკუთრება და ადამიანის ძალა ადამიანის ექსპლოატაცია. კაპიტალისტური საზოგადოება თავისი ცხოვრების მთელი წყობით ადამიანებს უნერგავს ერთმანეთისადმი მხეცურ დამოკიდებულებას, მტრობას, შურს, ღვარძლს. „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, „წაქცეული ჩაწიხლე“, „ყველა თავისთვის, მარტო ღმერთი ყველასთვის“ — ასეთია გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების კაცთმოძულეობითი მორალის წესები. ბურჟუაზიის დროს მორალი მის ანგარებით, კლასობრივ ინტერესებს ემსახურება. იგი ადამიანებს უნერგავს კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას. ბურჟუაზიული მორალის მთავარი დანაშნულებაა განამტკიცოს საზოგადოებრივი წყობილება, რომლის საფუძველია კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, ხალხთა მასების დამონება და ექსპლოატაცია.

რომ გაბრწყინდეს მშრომელთა შეგნება, ბურჟუაზია ფართოდ იყენებს თავის მორალს და მის შემადგენელ ნაწილს — რელიგიას.

ადამიანების მოსატყუებლად ეკლესია ქადაგებს რაღაც „ღვთაებრივ მორალს“, რომელსაც თითქოს უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. სინამდვილეში კი რელიგიას არასოდეს არ ჰქონია რაღაც განსაკუთრებული მორალი, არამედ ქადაგებდა და ქადაგებს ექსპლოატატორთა იმავე მორალს. მაგალითად, ქრისტიანობა თავის დროზე ამართლებდა მონობას, ქებას ასხამდა ბატონყმობას, კაპიტალიზმის დროს კი იცავს და ამართლებს მშრომელთა ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

იმპერიალიზმის ეპოქაში რელიგია ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული, ყველაზე აგრესიული ფენების იდეოლოგიის გამომხატველია, ხალხთა მასების ტრაცხვად გაბრუების იარაღია. რელიგიური, „კლასგარეშე“ მორალის ალმით გამოდიან ახლა ყველაზე პირწავარდნილი რეაქციონერები, ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლები. რელიგიური მორალის ქადაგება შესანიშნავად არის შეხამებული ომის ქადაგებასთან.

რელიგიური მორალის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მოწოდება „გიყვარდეს მოყვასი როგორც შენი თავი“. ღმერთისათვის, ამბობენ ასეთი მორალისტები, არ არსებობს ღარიბი და მდიდარი: ადამიანები ყველანი ძმები არიან; მათ შორის მტრობა კი გაუგებრობაა.

ცხობილია, მაგალითად, რომ იმპერიალისტებმა, რომლებიც „მოყვასისადმი სიყვარულს“ ქადაგებენ, უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე კაცობრიობას თავს მოახვიეს ორი მსოფლიო ომი, რის შედეგად დაიღუპა ათეულ მილიონობით ადამიანი, დაინგრა კოლოსალური ფასეულობანი. სულ სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ლოცავდნენ ამ ომებს, მორალურად ამართლებდნენ იმპერიალისტთა სისხლიან დანაშაულს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ჯონ ფოსტერ დალესი რელიგიური ადამიანია, მაგრამ ამან როდი შეუშალა მას ხელი მოემზადებინა და აეტეხა ომი კორეაში, შეექმნა სიკვდილის საშინელი ბანაკები სამხრეთ კორეაში და აქტიურად დაეჭირა მხარი ახალი მსოფლიო ომის მომზადებისათვის.

ბურჟუაზიული მორალის, მათ შორის რელიგიური მორალის — მონობისა და ექსპლოატაციის მორალის სავსებით საწინააღმდეგოა კომუნისტური მორალი. კომუნისტური მორალი მორალია საბჭოთა ადამიანისა, რომელიც თავისუფალია მონობისა და ექსპლოატაციის უღლისაგან, იგი ხელს უწყობს საბჭოთა საზოგადოების ძალისა და ძლიერების ზრდას, მშრომელთა წარმატებით წინსვლას კომუნიზმის გზით.

მაშინ როცა რელიგიური მორალის ძირითადი დანაშნულებაა ხელი შეუწყოს იმ წყობილების განმტკიცებასა და უკვდავყოფას, რომელიც კერძო საკუთრებას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას ეყრდნობა, კომუნისტური მორალი ზრდის ახალი მსოფლიოსათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლებს და წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მძლავრ იარაღს.

კომუნისტური მორალი რელიგიური მორალისაგან განსხვავებით გვასწავლის პატივისცემას შრომისადმი, რომელიც ადამიანური ცხოვრების საფუძველია. საზღვარი, რომელმაც ადამიანის წინაპარი ცხოველისაგან გამოჰყო, შრომით იყო გაკაფული. შეიძლება ითქვას: შრომამ შექმნა თვით ადამიანი. მაგრამ ანტაგონისტური საზოგადოების დამყარების მომენტიდან მისმა მმართველმა წრეებმა ექსპლოატირებული უმრავლესობისათვის შრომა მძიმე ტვირთად გადააქციეს, ითვისებენ რა ამ შრომის ნაყოფს და სიღარიბისა და უუფლებობისათვის განწირავენ მთელი ამ მატერიალური დოვლათის შემქმნელთ — მშრომელებს.

გაბატონებული ექსპლოატატორული კლასები ფიქრობენ, რომ შრომა, განსაკუთრებით ფიზიკური შრომა, დაბალ არსებათა ხვედრია. შრომისადმი ასეთ დამოკიდებულებას განამტკიცებს რელიგია. ეკლესიის მსახურნი შრომელებს უნერგავენ აზრს, რომ მათ უღრტვინველად გადაიტანონ ცხოვრების სიმძიმეები, „ზიდონ თავიანთი ჯვარი“, ელოდნენ, რომ სამაგიერო მიენიჭებათ „იმ ქვეყნად“. სამოთხის ნეტარება, რომელსაც ეკლესია ჰპირდება მორწმუნეებს, როგორც ჯილდოს მორჩილებისა და თავმდაბლობისათვის, ის არის, ამბობენ ხუცები, რომ სამოთხეში საჭირო არ არის შრომა. ამრიგად, იცავს რა ექსპლოატაციას, ეკლესია ზეციური ჯილდოს დაპირებით უკვდავყოფს მონობას დედამიწაზე.

ჩვენს ქვეყანაში იძულებითი შრომა შეცვალა თავისუფალმა შრომამ. სსრ კავშირში ადამიანები მუშაობენ არა მუქთახორების გასამდიდრებლად, არამედ თავისთვის, თავისი საბჭოთა საზოგადოებისათვის. შრომის განთავისუფლებამ იგი მძიმე და სამარცხვინო ტვირთიდან გადააქცია ღირსების, სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმედ, აი რა უწყობს ხელს საბჭოთა ადამიანის სოციალისტური შეგნების ზრდას.

ყველა რელიგიური ზნე-ჩვეულება, წესი ძირეულად ეწინააღმდეგება სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლ მშრომელთა ინტერესებს და ხშირად პირდაპირ ზიანს აყენებს საზოგადოებას. ბევრ ადგილას მართავენ რელიგიურ დღესასწაულებს, კერძოდ, ადგილობრივ, ანუ ეგრეთწოდებულ „საეკლესიო“ დღესასწაულებს, რაც ხშირად იწვევს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ნორმალური მუშაობის ჩაშლას. რელიგიურ დღესასწაულთა უმრავლესობა ზაფხულშია, იმ პერიოდში, როცა გაჩაღებულია მინდვრის სამუშაოები. როგორც წესი, ეს დღესასწაულები რამდენიმე დღეს გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში მუშაობა წყდება, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს. რელიგიურ დღესასწაულებს ხშირად თან მოსდევს ქეიფი, ღრეობა, ასეთი ღრეობის შემდეგ ადამიანი დიდხანს ვერ მოდის გონს. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი რაოდენობით იწვევს გაცდენას.

ბურჟუაზიული მორალი ქადაგებს რასობრივი და ეროვნული სიძულვილის, კაცთმოძულეობის იდეოლოგიას, რაც კაპიტალისტური რეჟიმის განუყოფელი ნიშანია. ეროვნულ მტრობას ბურჟუაზიის დამცველები ამართლებენ „საღმრთო წერილით“. ყოველი რელიგია მორწმუნეებს უბრძანებს სძულდეთ ადამიანები, რომლებიც სხვა რელიგიას ქადაგებენ. არ არის ისეთი რელიგია, ქრისტიანობა იქნება ის, ისლამი, ბუდიზმი თუ იუდაიზმი, რომელიც არ ქადაგებდეს, რომ ტომებს, ხალხებს, ერებს არ შეუძლიათ მშვიდობიანად ცხოვრება, იმიტომ რომ ზოგი ხალხი უყვარს ღმერთს, ზოგი კი „სხვა სარწმუნოებისაა“ და ღმერთს ის არ უყვარს. და არ არის არც ერთი რელიგია, რომელიც ამ საფუძველზე თავის თავს უფლებას არ აძლევდეს დევნოს და ჩაგროს ადამიანები, რომლებიც სხვა სარწმუნოებას ეკუთვნიან. ყოველი რელიგია თავის მომდევრებს აქეზებს სხვა რელიგიების მომდევართა წინააღმდეგ. ბიბლია ქადაგებს დაპყრობილ ქალაქებში „არც ერთი სული არ დატოვონ ცოცხალი“. იუდეველთა და ქრისტიანულ ეკლესიებს ეს ავაზაკური მოწოდება მიაჩნიათ „მაღალი მორალის“ ნიმუშად, „სამღვთო წერილად“.

კომუნისტური მორალი კაპიტალისტური, რელიგიური მორალისაგან განსხვავებით ქადაგებს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეოლოგიას. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გიგანტური მუშაობა გასწიეს, რის შედეგად ჩვენში აღმოფხვრილია ეროვნული შუღლი, რომელსაც ბურჟუაზია ნერგავდა, აღმოფხვრილია ხალხთა უთანასწორობა და უზრუნველყოფილია თვალუწვდენი ასპარეზი თვითეული ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. სოციალიზმმა საქმით უზრუნველყო ყველა ხალხის განთავისუფლება ეროვნული ჩაგვრისაგან, შექმნა კეთილნაყოფიერი პირობები თვითეული ეროვნული რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული აყვავებისათვის.

სსრ კავშირი იმ მშრომელთა ძმური კავშირია, რომლებიც სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან. საბჭოთა სოციალისტური წყობილების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

კომუნისტური მორალის დიდი უპირატესობა მკაფიოდ ჩანს შეხედულებებშიც ქალთა მდგომარეობაზე.

კლასობრივი საზოგადოების მთელი ისტორია ქალთა დაჩაგვრისა და დამონების, მისი სამინელი ექსპლოატაციის ისტორიაა

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის მეთაური — ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; დელეგაციის წევრები — ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში; გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში; ა. ნ. სობოლევი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; ა. მ. კუჩკაროვი, უზბეკეთის სსრ კულტურის მინისტრი. დელეგაციის წევრების მოადგილეებად დანიშნული არიან: პ. დ. მოროზოვი, ა. პ. მოროზოვი, გ. ფ. საქსინი, ვ. ა. ფომინა. დელეგაციის მრჩევლებად დანიშნული არიან ი. ფ. კურდიუკოვი, ვ. ფ. გრუბიაკოვი, ლ. მ. კარცევი, ლ. მ. ზამიატინი და ნ. პ. ემელიანოვი. (საკდესი).

უკრაინის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე

კიევი, 18 სექტემბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ მთავრობამ დანიშნა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე.

დელეგაციას მეთაურობს უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი; დელეგაციის წევრები არიან: ი. ზ. შტოკალო, ნ. ე. კრუტიკოვა, ს. ა. სლიპჩენკო, ი. ა. ტოლკუნოვი. დელეგაციის წევრების მოადგილეებად დანიშნული არიან ს. პ. დემჩენკო და ვ. ი. საპოჟნიკოვი.

ბელორუსიის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე

მინსკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ბელორუსიის სსრ მთავრობამ დანიშნა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე.

დელეგაციას მეთაურობს ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — პ. ე. ასტაპენკო, მ. ტ. ლინკოვი, კ. ნ. ბუშკევიჩი, ა. პ. ფსი.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დღევანდელ სხდომაზე, რომელიც ჯან ბო-ძიუნის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა კამთი „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ ლუ შაო-ცის მოხსენების გამო.

ყველა გამოსულმა დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩინეთის პირველ ნამდვილად დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტს, ეს პროექტი უჩვენებს ხალხს, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება, სოციალიზმის მშენებლობის ნათელ გზას.

სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარემ დეპუტატმა ლაი ჟო-იუმ ილაპარაკა იმ ფართო შრომითი შეჯიბრების შესახებ, რომელიც გაჩაღდა მთელ ჩინეთში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესიის აღსანიშნავად, ჩინეთის მუშათა კლასის ახალი მიღწევების შესახებ. ეს შრომითი ენთუზიაზმი, განაცხადა მან, ყოველ სიტყვაზე უფრო ძლიერ გამოხატავს ჩინეთის მუშათა კლასის მიერ კონსტიტუციის პროექტის მოწონებასა და მხარდაჭერას. მუშა-მოსამსახურეთა მასებს კონსტიტუციის პროექტი მიაჩნიათ არა მარტო იმ ბრძოლის შედეგების განმტკიცებად, რომელსაც აწარმოებდნენ ჩინელი მუშები მთელ ხალხთან ერთად, არამედ ჩინეთის სოციალიზმში გადასვლის გზადაც.

პეკინის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა უ იუი-ჯანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ჩინეთში სახელმწიფოს იმ ძირითადი კანონის წარმოშობა, რომელსაც ახლა განიხილავენ, ამტკიცებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების გამარჯვებას ჩინეთში. მარქსიზმ-ლენინიზმი, თქვა მან, კვლავაც მოიპოვებს გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში.

შეეხო რა კონსტიტუციის უდიდეს მნიშვნელობას ჩინეთის ცხოვრებაში და მოსახლეობის ყველა ფენის მიერ მისი შესწავლის დიდ მნიშვნელობას, უ იუი-ჯანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ახალი საგნის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შეტანა ჩინეთის სასწავლებელთა პროგრამებში. მე მჯერა, თქვა დასასრულ უ იუი-ჯანმა, რომ კონსტიტუციის სხივებით გაჩირაღდნებული მთელი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმება და მთელ ძალღონეს მოახმარს ბრძოლას იმისათვის, რომ ჩინეთი დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცეს.

დეპუტატები გულთბილად შეხვდნენ ცნობილი ჩინელი მწერალი ქალის დინ ლინის გამოსვლას. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა თავის შეხვედრებზე ჩინელი ხალხის სულ სხვადასხვა ფენის ადამიანებთან. ყველა გამოთქმულ აზრში, აღნიშნა დინ ლინმა, ჟღერს ერთი და იგივე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია სახალხო კონსტიტუციაა, იგი ძალას მატებს ადამიანებს, უნერგავს მათ სიამაყეს თავისი სამშობლოსათვის.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ჩინელ სახალხო მოხალისეთა დეპუტატის ჯაო მაო-ჩენის გამოჩენას ტრიბუნაზე. ჩვენ ვიცით, თქვა მან, რომ კორეაში ამერიკელთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ამხანაგების მიერ დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუღლია, რომ ყველაფერმა, რაც კი ყველაზე ძვირფასია, რასაც შესწირეს თავიანთი სიცოცხლე დაღუპულმა გმირებმა, თავისი გამოხატულება ჰპოვა კონსტიტუციაში.

როცა სხდომის დარბაზში სესიის მისასალმებლად შემოვიდნენ ჩინელი პიონერები, ყველა დელეგატი ფეხზე დგა და ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით მიესალმა სოციალიზმის მომავალ მშენებლებს.

დღევანდელი გამოსვლებით დამთავრდა კამათი ლუ შაო-ცის მოხსენების გამო. სულ კამათში გამოვიდა 89 დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის ყველა ფენას, დემოკრატიულ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და რელიგიურ წრეებს, იგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩინელებს.

სხდომის დასასრულს დელეგატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამით დამთავრდა დღევანდელი სხდომა. შემდეგი სხდომა გაიმართება 20 სექტემბერს.



სახელმწიფო მეურნეობა „შუანციაო“ ხებეის პროვინციაში (პეკინის ახლოს) მეცხოველეობის უაღრესად მექანიზებული მეურნეობაა, რომელიც რძეს აწვდის პეკინის მცხოვრებთ. თვითეული ძროხის საშუალო წლიური წველადობა 1951 წლის 3.900 კილოგრამიდან 1953 წელს 5.600 კილოგრამამდე გადიდდა. მერძევეობის ფერმას აქვს ელექტროსაწველი აპარატები, სეპარატორები, ავტოსარწყულებლები და ელექტრორეფრიჟერატორები. **სურათზე:** ძროხების ელექტროწველა.

სინხუას საგენტოს ფოტო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც 1954 წლის 16 სექტემბერს გაიმართა.

ცნობაში ნათქვამია, რომ სხდომაზე გამოსულმა გერმანიის საგარეო და საშინაო ვაჭრობის მინისტრმა კურტ გრეგორმა გააკეთა მოხსენება ლაიპციგის 1954 წლის ბაზრობის მსვლელობისა და შედეგების შესახებ. კურტ გრეგორმა ხაზგასმით აღნიშნა ლაიპციგის წლევანდელი ბაზრობის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური წარმატება, რაც ხელს უწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტის შემდგომ განმტკიცებას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრმა პაულ შოლცმა ილაპარაკა 1954 წლის მოსავლის აღების მსვლელობაზე. მან განაცხადა, რომ მარცვლეულ კულტურების აღება რესპუბლიკის ყველა ოლქში ძირითადად დამთავრდა. ახლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი მოსავლის მარცვლეული კულტურების უსწრაფესად გალეწვისა და სახელმწიფო ჩაბარების შესრულების ამოცანასთან ერთად დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — დროზე ჩაატაროს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და უდანაკარგოდ აიღოს ძირხვენები.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ბრუნო ლეიშნერმა ილაპარაკა მასობრივი მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვების მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით წელს მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადიდდა.

მინისტრთა საბჭომ მოისმინა აგრეთვე ცნობა რესპუბლიკის საწარმოებში 1954 წლის პირველ ნახევარში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მსვლელობის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გეგმები

განცხადება დალესისა და იდენის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ლონდონში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის მოლაპარაკება.

რეიტერის სააგენტომ გადასცა ოფიციალური განცხადება, რომელიც მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ დალესმა და იდენმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი „იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების უარყოფის შედეგად. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი მოქმედება, და აზრი გამოთქვეს, რომ უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას მოსამზადებელი თათბირი იმ საკითხის განსახილველად, თუ როგორ დაუკავშირონ ყველაზე უკეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა დასავლეთის ქვეყნებს სრული თანასწორობის საფუძველზე“. ამ „სრული თანასწორობით“ აშკარად იგულისხმება დასავლეთ გერმანიის შეუზღუდველი შეიარაღება.

ლონდონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ მოსამზადებელი კონფერენცია, რომელზეც დალესი და იდენი შეთანხმდნენ, გაიმართება ლონდონში და რომ მას დაესწრებიან ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლები.

დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ

ლონდონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისში ახლა მიმდინარეობს ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც პარტიის რიგითი წევრები განაწესს აძლევენ თავიანთ დელეგატებს ლეიბორისტული პარტიის 53-ე კონფერენციაზე, რაც 27 სექტემბერს გაიხსნება.

ეს კრებები, რომლებიც მიმდინარეობს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ახალი გეგმების წინააღმდეგ ინგლისელ მშრომელთა ბრძოლის საერთო გაძლიერების ვითარებაში, ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ რიგითი ლეიბორისტები ძალიან უკმაყოფილონი არიან დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისათვის მხარდაჭერის ოფიციალური პოლიტიკით, რომელსაც პარტიის ხელმძღვანელობა ახორციელებს. ლეიბორისტული პარტიის რვა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ინგლისის უდიდეს საამრეწველო ცენტრში — გლაზგოში უკვე დაავალა თავის დელეგატებს კონფერენციაზე ხმა მისცენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციამ საუტუორკში (ლონდონი).

გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ერთხმივი გადაწყვეტილება იყო მიღებული აგრეთვე ვულვერჰემპტონში საამქროების მამასახლისთა კრებაზე, რომელიც მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის რაიონულმა კომიტეტმა მოიწვია. ამ კრებაზე გამოვიდა პარლამენტის წევრი ვულვერჰემპტონიდან ლეიბორისტი ჯონ ბეირდი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საშიშროება.

ბონის ბუნდესტაგში

ბერლინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ბონის ბუნდესტაგში გაიმართა კამათი, რაც დაიწყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის მოთხოვნით დასავლეთ გერმანიის „კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების“ ყოფილი ხელმძღვანელის დოქტორ იონის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასვლასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, დოქტორმა იონმა კავშირი გაწყვიტა ბონის მთავრობის დანაშაულებრივ პოლიტიკასთან, რომლის მიზანია გერმანიის გათიშვის გაღრმავება და ევროპაში ახალი ომის მომზადება. იონმა გულახდილად განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში ფაშისტებმა ამჟამად ყველგან კვლავ თავი წამოყვეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან მიუთითა თავის თანამემამულეებს, რომ ბონის ადენაუერის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ცალმხრივად არის დაკავშირებული ამერიკის პოლიტიკასთან, აუცილებლად იწვევს ახალ ომს, რომელიც არათუ განუსაზღვრელ ტანჯვას მოუტანს გერმანელ ხალხს, არამედ საეჭვოდაც გახდის გერმანელი ერის შემდგომ არსებობას.

დოქტორ იონის ამ გამოსვლამ არევდარევა გამოიწვია ბონის მმართველ წრეებში. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ბუნდესტაგში შეიტანა შეკითხვა, რომელშიც მოითხოვა შეიქმნას კომისია „იონის საქმის“ გამოსაძიებლად და ამ „საქმესთან“ დაკავშირებით პარლამენტის უნდობლობის ვოტუმი გამოეცხადოს ბონის შინაგან საქმეთა მინისტრს შრედერს. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ამ შეკითხვაში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს დასავლეთ გერმანიაში რემილიტარიზაციასა და ფაშიზაციას, რომლებზეც მიუთითებდა თავის განცხადებებში დოქტორი იონი.

კამათის მსვლელობაში გამოსულმა სოციალ-დემოკრატებმა მელისმა და მენცელმა აღიარეს დასავლეთ გერმანიაში ფაშისტებისა და მილიტარისტების საქმიანობის აქტივიზაციის ფაქტი.

მენცელმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში ამჟამად ბევრი სხვადასხვა ჯაშუშური ორგანიზაციაა, რომლებშიც, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელ როლს ასრულებენ ყოფილი ჰიტლერელი ფაშისტები. „ბლანკის უწყებასთან“ და ჰიტლერელი გენერლის გელენის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან ერთად მან დასახელა ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის „გერმანიის მრეწველობის დაზვერვის სამსახური“ კელნში და გრუნპოლის შტრაიბრეხერთა ორგანიზაცია ესენში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ვინმე კელნერმა ჰენრიხ ბაუერმა ფული შეაგროვა ბონის მთავრობის პარტიების საარჩევნო ბრძოლის დასაფინანსებლად. ამასთან ერთად მან განაცხადა, რომ ჩვენ „უნდა გავაკეთოთ მწარე და გულისგამტეხი დასკვნა იმის შესახებ, რომ გერმანიის (გულისხმება დასავლეთი გერმანია. — **რედ.**) ოთხი უკანასკნელი წლის შინაპოლიტიკურმა განვითარებამ სულ ცოტა რომ ვთქვათ, ვერ დაგვაახლოვა დემოკრატიასთან“.

ბონის ბუნდესტაგმა კამათის დამთავრებისას მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წინადადება „იონის საქმის“ გამომძიებელი კომისიის შექმნის შესახებ.

მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში

ამსტერდამი, 19 სექტემბერი. (საკდესი). მე-5 და მე-6 ტურების პარტიების დამთავრების დროს საბჭოთა მოჭადრაკეებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა ლაზიერის ენდშპილში მინევის (ბულგარეთი) წინააღმდეგ მეთოდურად წასწია წინ ერთადერთი პაიკი, რომელიც დარჩა დაფაზე. როცა პაიკმა მე-7 ჰორიზონტალს მიაღწია, ბულგარელი ოსტატის მდგომარეობა უიმედო დარჩა. იგი დანებდა 91-ე სვლაზე.

გელერმა ხანგრძლივი მანევრის შემდეგ მიაღწია შესამჩნევ პოზიციურ უპირატესობას პარტიაში ოიჰანსონთან. მალე ისლანდიელმა ოსტატმა დაკარგა ერთი პაიკი, შემდეგ მეორე და წაგო.

კოტოვ-არნლაუგსონის პარტია ოთხი საათის დასამთავრებელი თამაშის შემდეგ კვლავ გადაიდო. საბჭოთა გროსმაისტერს პოზიციური უპირატესობა აქვს. ამრიგად სსრ კავშირ-ბულგარეთის მე-5 ტურის მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ისლანდიასთან შედეგია ჯერჯერობით 3:0.

ანგარიშით 3:1 არგენტინამ მოუგო შვეიცას, ხოლო ჰოლანდიამ — ინგლისს, დანარჩენი მატჩები არ დამთავრებულა.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან სსრ კავშირი — 18 ქულა და ერთი გადადებული პარტია; არგენტინა — 16,5 ქულა, იუგოსლავია — 14,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

სოფიაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე კრივში

სოფია, 19 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სოფიაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე კრივში საბჭოთა გუნდი შეხვდა პოლონელ მოკრივეებს.

პოლონეთის გუნდმა შეხვედრა ისე დაიწყო, რომ ზედმეტი ქულა ჰქონდა. უმჩატესი წონის საბჭოთა მოკრივის ვ. სტოლნიკოვის წონა ნორმაზე 20 გრამით მეტი აღმოჩნდა და იგი არ დაუშვეს შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონ გ. კუკერთან. მჩატე წონაში ბ. სტეპანოვს აშკარა უპირატესობა ჰქონდა და ქულებით დაამარცხა პოლონელი რ. მურავსკი.

მეორე გამარჯვება საბჭოთა გუნდს მოუტანა გ. შატკოვმა (მეორე საშუალო წონა), რომელმაც აქტიურად დაამთავრა სამი რაუნდი და ქულებით მოუგო ზ. პიორკოვსკის. დანარჩენ შეხვედრებში გამარჯვება მიუსაჯეს პოლონელ მოკრივეებს. შეხვედრის საერთო ანგარიშია 8:2 პოლონეთის სასარგებლოდ.

ბულგარეთის გუნდმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს მოუგო ქულებით 6:4.

სურათზე: ზევით — თბილისის XVI ხაფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადაში მონაწილეთა პარადი „დინამოს“ სტადიონზე; ქვევით — ქალთათვის 100 მეტრზე რბენის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

საფაგრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში ათასობით მუშა ახალგაზრდა ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეობას. აქ ისინი გადიან სისტემატურ წვრთნას, მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მასობრივი შეჯიბრება — საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომელიც ტრადიციული ასპარეზობა გახდა. ამ შეხვედრებში მუშა სპორტსმენები სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას, ამყარებენ ახალ რეკორდებს.

ორგანიზებულად მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების XVI სპარტაკიადა. ეს მასობრივი შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 19 სექტემბერს. მოეწყო სპორტსმენთა პარადი. შეჯიბრებაში მონაწილეებს მიესალმა საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სირაძე. ალამი აღმართეს XV სპარტაკიადაში გამარჯვებული თბილისის 26 კომისრის რაიონისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდების წარმომადგენლებმა.

სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტის 9 სახეობა — მძლეოსნობა, ცურვა, სროლა, ჭადრაკი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, კალათბურთი, ქართული ჭიდობა. შეჯიბრებაში მონაწილეობს ქალაქის საწარმოთა 34 გუნდი 2.000-ზე მეტი სპორტსმენით.

19 სექტემბერს გაიმართა შეხვედრები მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლაში, ჭადრაკში. სპარტაკიადა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება.

პირველ ჯგუფში გამარჯვებულ სპორტსმენთა კოლექტივისათვის დაწესებულია საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ასპარეზობა

გაზეთ „ლელოს“ თასის გათამაშება ფეხბურთში კარგი წამოწყება იყო. ამ შეჯიბრებამ ცხადყო საქართველოს უძლიერეს ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების თამაშის აღმავლობა. ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისათვის იზრდება ახალი შევსება, ფეხბურთელთა ახალგაზრდა კადრები.

ყოველ შეხვედრას ათასობით მაყურებელი ეწყრებოდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო დასკვნითი შეჯიბრება, რომელიც გაიმართა „დინამოს“ სტადიონზე 19 სექტემბერს.

მოედანზე პირველად გამოვიდნენ საქართველოს მესამე ნაკრებისა და „ნორჩი დინამოელის“ მეორე გუნდები. ეს შეხვედრა დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის მესამე ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 1:0. თბილისის 35-ე სკოლის მეორე გუნდმა დაამარცხა ზუგდიდელი ფეხბურთელები 3:2, „ნორჩი დინამოელის“ პირველმა გუნდმა მოუგო 35-ე სკოლის პირველ გუნდს ანგარიშით 1:0.

ამ დღის ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა გარდამავალი ჯილდოსათვის მებრძოლი საქართველოს პირველი და მეორე ნაკრები ვუნდების მატჩი. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა მეორე ნაკრების სასარგებლოდ 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს მეორე ნაკრების ფეხბურთელებმა. მალე მათ ორი ბურთი გიატანეს მოწინააღმდეგის კარში და ანგარიში 3:0 გახადეს. ამის შემდეგ პირველმა ნაკრებმა შეძლო ერთი ბურთის გატანა. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა საქართველოს მეორე ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ამრიგად, გაზეთ „ლელოს“ თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა მეორე გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა პირველი ნაკრები, მესამეზე — „ნორჩი დინამოელის“ პირველი გუნდი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ი. უგულავამ ასპარეზობაში გამარჯვებულ საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა მეორე ნაკრებ გუნდს საზეიმოდ გადასცა გარდამავალი ჯილდო — გაზეთ „ლელოს“ სახელობის თასი.

საქართველოს აღპინისტთა დაბრუნება

წელს ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელებმა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ღირსშესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პამირის მადლმთიანი ექსპედიციის მუშაობა დოცენტ ო. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით.

ექსპედიცია დაკომპლექტებული იყო 22 უძლიერესი ალპინისტით, რომელთა რიგებში იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გვარლიანი და კუზმინი, სახელმოხვეჭილი მთამსვლელები ნემსიწვერიძე, გულბანი და სხვ.

გუშინ პამირის მაღალმთიანი ექსპედიციის მონაწილე სპორტსმენები თბილისში დაბრუნდნენ. გამარჯვებულ ალპინისტებს რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, მრავალი თაიგულები უძღვნეს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაკიკიძე.

დისერტაციების დაცვა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (მელიქიშვილის ქუჩა № 10)

12/X-54 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ

1. ვასილ ალექსის-ძე კულულაშვილი თემაზე: „Оперативное лечение выпадения прямой кишки“.

2. საშარ მიხეილის-ძე ტუაევი თემაზე: „Энтеробиоз и его лечение отечественным четырех-хлористым углеродом.“

19/X-54 წ. დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ

არკადი იაკობის-ძე ვართაპეტოვი — თემაზე: „Материалы к изучению патогенеза некоторых нейрогенных дистрофий кожи в клинике и эксперименте“.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

8/X-54 წ. დღის 2 საათზე (ტერეფინსკის ქ. № 8) ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ირაკლი ალექსანდრეს-ძე ვარდიშვილი** თემაზე: „О корковой регуляции сердечной деятельности и дыхания при физических упражнениях и вопрос разминки в спорте“,

2. **დავით ამანათის-ძე ნიკოლაშვილი** თემაზე: „Умалчивание нервную деятельность и дыхания при физических упражнениях“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თბილისი, სამხედრო გზა № 62).

მოქალაქე **ზურაბ ირაკლის-ძე ფორაქიშვილმა**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 361, აღძრა საქმე კოოპერაციის ქ. № 8 მცხოვრებ მოქალაქე **ლამარა ივანეს ასულ ჭანტურიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილი დოდო მგელაძე, და რევეკა გიორხელიძე იუწყებიან **ლუბა დიმიტრის ასულ ბანძალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IX, 5 ს. ქ. ბათუმში. გამოსვენება ბინიდან, ვოროვსკის ქ. № 5.

დედა ტერეზია, დები ზოია, ქეთო, მარგო, სიძეები ა. ელიავა, ი. მელია, დისწულები მერი, სოსო, ჯონი, ჯემალ, კანდიდ, ბესარიონ იუწყებიან **მირიან ალექსანდრეს-ძე ჩქოტუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-IX, სოფ. ჩხორიაში (ზუგდიდის რ.).

41-ე საშუალო სკოლის პედაგოგები, თანამშრომლები და მოსწავლეები იუწყებიან **სოფიო ბესარიონის ასულ ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-IX, 5 ს. ცხემის შესახვ. № 6.

მამა სირო, მეუღლე თამარ, შვილი გიორგ, დები სონა, ნინო, ძმა გიორგი ოჯახით ჯაყელები, ცოლისდა ვერა მარჯანიშვილი შვილით მიხეილით იუწყებიან **აკაკი სოსის-ძე ჯაყელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-IX ქ. ქობულეთში.

დედა მარიკო, ბაბუა ივანე მაჭავარიანები, დეიდა ნინო მაჭავარიანი მეუღლით ვახტანგ საყვარელიძით, ბიძაშვილი ვანო მაჭავარიანი იუწყებიან **ნანი მაჭავარიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-IX, 5 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 65.

მამა ოთარ, ბაბუა მიხეილ ნოზაძეები იუწყებიან პატარა **ნანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-IX, 5 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 65.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნისა — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებისა — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორისა — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

УЦ 04100

ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.